პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 აპრილი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 81 (10000) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს“ მე-10 000 ნომერი

ძვირფასო მკითხველო! თქვენს ხელთაა ქართული სპორტული გაზეთის მე-10.000 ნომერი. ახლახან შესრულდა ავრეთვე პირველი ნომრის გამოცემის 55-ე, ხოლო წელსვე, 10 ივლისს „ლელოს“ 40 წლისთავი უსრულდება.

1934 წლის 13 აპრილს მიიღო ქართველმა მკითხველმა გაზეთ „საქართველოს ფიზკულტურელის“ პირველი ნომერი. 1936 წლიდან გაზეთს „ფიზკულტურელი“ ეწოდა, 1939 წელს 28 თებერვალს კი მისი ბოლო, 362-ე ნომერი გამოვიდა. 1949 წელს, მას შემდეგ, რაც ესოდენ თვალსაჩინო გახდა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა, კვლავ დაისვა ქართული სპორტული გაზეთის აღდგენა-გამოცემის საკითხი. სახელიც მოხდენილი და ტევადი ეწოდა — „ლელო“ — ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობის, ვაჟკაცობისა და გამარჯვების, ლელოს გატანის სწრაფვის სიმბოლო.

მე-10.000 ნომერი! ჩვენი სპორტული გაზეთის თითოეული ნომერი ეს არის ქართული სპორტის თავისებური მატიანე, ყოველ მათგანს თან ახლავს ეპოქის მაჯისცემა, მსოფლიოს სპორტულ სამყაროში ჩვენი თვითდამკვიდრებისათვის ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლის ხუნთქვა.

განახლებული გამოცემა — „ლელო“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, შემდეგ მისი პერიოდულობა ყოველკვირეულად საშამდე, უფრო გვიან კი ხუთამდე გაიზარდა. „ლელომ“ იმთავითვე შემოიკრიბა ეურნალისტთა ნიჭიერი თაობა, რომლებმაც ფაქტობრივად აღიარებამდე მიიყვანეს ქართული სპორტული ეურნალისტიკა და შემდეგ სპორტულ ეურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაციაც შეიქმნა.

„ლელოს“ პირველი რედაქტორი გახლდათ შესანიშნავი ეურნალისტი და საგაზეთო საქმის უბადლო სპეციალისტი მიხეილ კაკაბაძე, რომლის პროფესიულმა დონემ და პიროვნულმა თვისებებმა წინ წაიწია ქართული სპორტული ეურნალისტიკა, ავტორიტეტი და ხალხის სიყვარული მოუპოვა გაზეთს. მიხეილ კაკაბაძე 60-იან წლებში კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ამ გაზეთს. იმ უძრაობის პერიოდშიც კი „ლელო“ ერთ-ერთი მებრძოლი გაზეთი იყო.

სხვადასხვა დროს „ლელოს“ რედაქტორებად მუშაობდნენ ერემია მახათაძე, ირაკლი უგულავა, ანზორ ბახილაია. შემდეგ გარდაქმნა-განახლების პროცესის დასაწყისშივე გაზეთის ახალ მიმართულებას არჩილ გოგელიას რედაქტორობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი.

დღეს გვინდა მადლიერების გრძნობით გავიხსენოთ „ლელოს“ თანამშრომელთა ყველა თაობა, რომლებიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ეროვნულ საქმეს.

ვაანალიზებთ რა გაზეთის, მისი შემოქმედებითი კოლექტივის მიერ განვლილ გზას, სიამაყესთან ერთად უკმარობის გრძნობაც გვეუფლება. ქართული სპორტი აღმავლობის გზით მიდის, ჯერ კიდევ ვალში ვართ ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე, კარგად გვესმის, რომ ახლა გაზეთს განსაკუთრებით საპატიო და საპასუხისმგებლო ფუნქცია ეკისრება, როგორც პროპაგანდისტს და როგორც ორგანიზატორს. ის, რაც დღემდე გაკეთდა, ის სიყვარული, რაც ჩვენმა გაზეთმა მოიპოვა ქართველ და არა მარტო ქართველ მკითხველში, მისი სოლიდური ტირაჟი, 100-ზე მეტი რუბრიკა, მკითხველთა ფართო აუდიტორიასთან („ლელოს“ ხომ ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანი კითხულობს) და სპორტულ ორგანიზაციებთან საქმიანი კავშირი ახალ ძალას გვმატებს, ძიებისა და ახალი შემოქმედებითი სიმაღლეების დასაპყრობად გვამხნევებს.

წერილი პერეიდან

„ლელოს“ არაქართველი მკითხველიც საკმაოდ ჰყავს. იმის გამო, რომ გაზეთი მხოლოდ ქართულ ენაზე გამოდის, სპორტის მოყვარულები კი დაინტერესებულნი არიან ჩვენი პუბლიკაციებით, ბევრი მათგანი ქართულს ეუფლება, რაზედაც რედაქციაში შემოსული წერილებიც მეტყველებს. აი, ამ დღეებშიც პერმიდან მივიღეთ ა. კრულიკოვის წერილი. იგი გვწერს, რომ არის ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი და ახლა სურვილი გაუჩნდა კავშირი დაამყაროს ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებთან (სტატისტიკოსებთან). ვისაც საამისო სურვილი აქვს ვთავაზობთ მისამართს: პერმი — 614066. საფოსტო განყოფილება № 29 ა. გ. კრილიკოვს.

ფულადი დახმარება

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ ამავე საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს 32 ათასი მანეთი გადაურიცხა. აჭარაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ამ სახსრებს მიზნობრივად გამოიყენებენ.

წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — მურთაზ ბუკიას (თბილისი, პროფკავშირები), გიორგი ბერუაშვილს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), კონსტანტინე ჯორბენაძეს (თბილისი, პროფკავშირები), კოტა ქერდიყოშვილს (გორი, შეიარაღებული ძალები), ზაქარია ვეშაპურს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), რევინ ლომიძეს (სოხუმის რაიონი, „დინამო“).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ШВЕЙЦАРІІС, ГДР-ІСА ДА ЧІНЕТІІС АШЗЕБШІ

ЧВЕНІ წყალში მხტომელები საკავშირო ნაკრები გუნდების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ტურნირებში და წარმატებებსაც მიაღწიეს.

შვეიცარიაში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც თბილისელი ანა როსტიაშვილიც გამოდიოდა. მან გუნდურ პირველობაში ევროპის თასი მოიპოვა, რისთვისაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურა.

სამწუხაროდ, ასპარეზობის მომდევნო დღეს, როცა პირადი პირველობა უნდა გამართულიყო, საბჭოთა ქალთა ნაკრებმა, მთელი შემადგენლობით, გაუგებრობის გამო, ერთი საათით დააგვიანა ასპარეზობაზე და ბრძოლაში ჩაბმა ვერარ შეძლო.

გდრ-ში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც „მოსტუნავის დღედაა“ ცნობილი, თბილისელმა მოსწავლე გოჩა გახარიამ კოშკიდან ხტომაში მესამე ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი ნაკრები ჩინეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ცდილა ძალას. აქ თბილისელებმა დიანა მჭედლიძემ და ნანა ნებიერიძემ შესაბამისად ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში მეხუთე ადგილები დაიკავეს, ხოლო გიორგი შვილიუგოვი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მეოთხე იყო.

• • •

ს ურ ა თ ებ ზ ე: ანა როსტიაშვილი (მარცხნივ); გოჩა გახარია.

საქართველოს სპორტსმენთა ნარმატებანი

მედლები — იუნიორებს

გოგი კოლუაშვილისა და ნაიბი დვალიძის გამარჯვება

მოსკოვში, „იზმაილოვოს“ სპორტის სასახლეში ჩატარდა იუნიორთა (20 წლამდე ასაკის) საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც 260 ათლეტი მონაწილეობდა. გუნდური გამარჯვება რუსეთის ფედერაციის ათლეტებმა მოიპოვეს, რომლებმაც 14 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ სომხეთის კოლექტივს. მესამე ადგილი საქართველოს „კლასიკოსებს“ ხვდათ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ნამიკ მუსტაფაევი (ბაქო), ნაზირ შამსუტდინოვი (ულიანოვსკი), კამო ამბარცუმოვი (ბაქო), ვართან მარქარიანი (ლენინაკანი), ოლეგ ტოკარევი (კიშინიოვი), იგორ ლინიკი (მინსკი), ალექსანდრე ანტონენკოვი (კიევი), გოგი კოლუაშვილი (ქუთაისი), ნაიბი დვალიძე (თბილისი), სერგეი მურეიკო (კიშინიოვი).

ვულოცავთ!

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა **არნოლდ შალვას ძე კვეტენაძეს** (სპორტული ტანვარჯიში) და **ვახტანგ მოხეს ძე ხალუქვაძეს** (ტყვიის სროლა).

ქალებიც და ვაჟებიც პირველ ლიგაში

სახიამოვნო ცნობა მოვიდა — ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა პირველ ლიგაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

როგორც გულშემატკივრებმა იციან, თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი (უფროსი მწვრთნელი ცისანა აბუაშვილი) სომხეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ფრენბურთელებთან ერთად იბრძოდა პირველ ლიგაში დასაბრუნებლად. ჩვენი სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ოთხივე ტურში საუკეთესოდ ითამაშეს, 12 შეხვედრიდან 11 მოიგეს და სამწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ პირველ ლიგას. ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა, რადგან გუნდის შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდულია და საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებზე რესპუბლიკის ღირსების დაცვა სწორედ მათ მოუწევთ.

რაც შეეხება ვაჟთა გუნდს — თბილისის „მშენებელს“ (უფროსი მწვრთნელი ვაჟა კაჭარავა), მან აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთისა და ყირგიზეთის კოლექტივებზე აშკარად უკეთ ითამაშა (მოიგო ყველა თამაში) და მანაც დამსახურებულად მოიპოვა პირველი ლიგის საგზური. მაისის პირველ ნახევარში „მშენებელი“ კვლავ ერთ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში საკავშირო თასის გათამაშებაში ჩაებმება.

როგორც ხედავთ, ჩვენს ქალთა და ვაჟთა გუნდებს საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე მეტად პასუხსაგებ შეჯიბრებებში მოუწევთ გამოსვლა. წარმატებების მისაღწევად აუცილებელია ნორმალური სწვრთნელი პირობები, სათანადო ბაზა, რომლებსაც, სამწუხაროდ, ორივე კოლექტივი მოკლებულია.

ვაჟა დანელია.

თბილისის ფალავანთა კლუბში ახობით მოზარდი იყრის თავს ყოველდღიურად. ისინი ქართველ ფალავანთა სახახელო ტრადიციებზე იზრდებიან. დღევანდელი „მართველები“ ხვალ უკვე ჭაბუკთა, იუნიორთა თუ მოზარდთა შეჯიბრებების ჩემპიონებად გვევლინებიან. ამ ჭაბუკთა შორის არიან ჩვენი მომავალი ოლიმპიელები, ისინი დირსეულად გაგრძელებენ უფროსების გაკვალულ გზას და არაერთი გამარჯვებით გაახარებენ დედახაქართველოს.

ამ სურათზე გლდანის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები არიან აღბეჭდილნი. მათ გულმოდგინედ ავარჯიშებენ თავისუფალი სტილის ჭიდაობის სპეციალისტები შურად ცნობილაძე და ვალერიან იაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

განიმტკიცა ლიდერობა

ბორში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა 49-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა ოსტატმა გია ბაღათუროვმა და 3,5 ქულით სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს. IV ტურში მან პრინციპულ ორთაბრძოლაში სძლია თბილისელ ოსტატობის კანდიდატ აკაკი იაშვილს, რომელიც მანამდე მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს. ამ ტურში წაიფორხილა დიდოსტატმა ქალმა ქეთევან არახამიამ. როგორც გახსოვთ, სამი ტურის შემდეგ ქეთევანი I-II ადგილებს იყოფდა ბაღათუროვთან ერთად. ამჯერად კი მან ვერ დაძლია ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატის ბესიკ ხეცურიანის წინააღმდეგობა და პირველი ნული ჩაიწერა სატურნირო ცხრილში. მარცხი იწვნია შეჯიბრებაში მონაწილე კიდევ ერთმა ქალმა — გორელმა საერთაშორისო ოსტატმა ციალა ქასოშვილმა. მას თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა იგორ ეფიმოვმა სძლია. ამ ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ლობჟანიძე — მანგაგაძე 0:1, სიჭინავა — ვალიევი 0,5:0,5, სუპატაშვილი — ტაბატაძე — 0,5:0,5.

4 ტურის შემდეგ ლიდერს გია ბაღათუროვს ქულით ჩამორჩება ქეთევან არახამია. 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს იგორ ეფიმოვს. 2-2 ქულა მოგროვეს აკაკი იაშვილმა, ნუკრი მანგაგაძემ (ქუთაისი) და დავით ლობჟანიძემ (თბილისი). ბესიკ ხეცურიანს 1,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს. შემდეგ მოდიან ხვიჩა სუპატაშვილი (თბილისი), თემურ ვალიევი (ცხინვალი) — 1,5-1,5 ქულა, ციალა ქასოშვილი — 1(1), რომან სიჭინავა (ცხაკაია) — 1, თამაზ ტაბატაძე (თბილისი) — 0,5 (2).

ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჯაბოსნობა ● ბაიდარები და კანოე ● სათანრიგო მოთხოვნები

ვაუები და ქალები

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი:

დაიკავოს: I-VI ადგილები ოლიმპიურ თამაშებზე;

I-V ადგილები ოლიმპიურ თამაშებზე;

იყოს „ა“ კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში I-II ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში.

დაიკავოს I ადგილი სსრ კავშირის პირადი პირველობის პროგრამის იმ სახეობაში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა წინა ან მიმდინარე წლის მთავარ შეჯიბრებაში (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო პირველობა) დაიკავეს I-III ადგილები.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, I, II, III თანრიგები, მოზარდთა I, II და III თანრიგები:

მეჯიბრება	დაიკავის აუცილებელი ნაკვეთის ადგილი				მანძილი, მ.
	I-ადგ.	II-ადგ.	III-ადგ.	სსტ.	
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი					
I ჯგუფი სსრ კავშირის ჩემპიონატი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, სსრ კავშირის თასი, ი. რიაბჩინსკის ხსოვნის საერთაშორისო მეჯიბრება.	1-6	1-4	1-2	1-2	500, 1000, 5000, 10000
II ჯგუფი იუნიორთა მსოფლიო პირველობა, საკავშირო მეჯიბრებები მაღ მორის უმაღლესი ოსტატობის სკოლებისა, მოკავშირე რესპუბლიკების მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატები და თასი, რომელიც „ცენტრმა I-II ადგილები დაიკავეს ოლიმპიურ ჩაჯვრებში საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის პროფკავშირთა სპორტსამოყვარეთა საკავშირო საბჭოს პირველობებსა და ოსტატებმ.	1-5	1-3	1-2	1	500, 1000 5000, 10000
III ჯგუფი სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო მეჯიბრება „მეგობრობა“, ახალგაზრდული ათამეტი, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატები და თასები, რომელიც ცენტრმა III V ადგილი დაიკავეს ოლიმპიურ ჩაჯვრებში, „ზრიმიდი „ზეგრეკების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა?	1-3	1-2	1	-	500, 1000, 5000 10000
IV ჯგუფი ფრაფიული ლა მეჯიბრება, რომელიც ატარებს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსახკომები, საიტი და საუნიტო სპორტკომიტეტები, დამონმებულ სსრ კავშირის სპორტსახკომის ჩემპიონატები, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, რომელიც ტენტრმა ოლიმპიურ ჩაჯვრებ ლიგა IV-VIII ადგილები.	1-2	1	-	-	500, 1000, 5000 10000
V ჯგუფი მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატები, ასევე, რომელიც ტენტრმა ოლიმპიურ ჩაჯვრებში IX ადგილი დაიკავეს, რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსამოყვარეთა, სპორტსამოყვარეთა და ეწეულების ჩემპიონატები, რომლებშიც სულ 150 სპორტის ისტატების ნაწილი დამოიყვანა?	1	-	-	-	500, 1000, 5000 10000
სსრ კავშირის პირველობა					
სსრ კავშირის პირველობა (17-18), მოზარდა ათამეტი (17-18 წელი), მოზარდა ათამეტი	1-3	1	1	-	500, 1000, 5000 10000
სპორტის ოსტატობის კანდიდატი					
სსრ კავშირის პირველობა (17-18), მოზარდა ათამეტი	4-8	2-6	2-4	-	500, 1000, 5000 10000
საკავშირო მეჯიბრება (17-18 წლის) მაღ მორის სპორტული პროფილის სოლა-ინტერნატი, მოსწავლეთა საკავშირო სპორტიადა.	1-6	1-5	1-4	-	"
საკავშირო მეჯიბრება (15-16 წლის)	1-5	1-4	1-3	-	500, 1000, 5000 10000
ქალაქებისა და სპორტსამოყვარეთა ეწეულების საქალაქო საბჭოების პირველობები (15-16; 17-18 წელი)	1	1	-	-	"
I ეტაპი					
არა უმეტეს საქალაქო მეჯიბრება, მიბრეიდა, იუნიორა, მიბარდა სულ ცოტა 12 ეკიპაჟის მონაწილეობით (კუნდურში არა უმეტეს - 8); მაღ მორის 3-I ● ან 5-II ●	1-3	1-2	1	-	500, 1000, 5000, 10000
II ეტაპი					
მიბრეიდა, იუნიორა, მიბარდა ნებისმიერი მასშტაბის მეჯიბრება სულ ცოტა 9 ეკიპაჟის მონაწილეობით, მაღ მორის 3 - II ● ან 5-III ●	1-2	1	1	-	250, 500, 1000 3000, 5000, 10000
III ეტაპი					
მიბრეიდა, იუნიორა, მიბარდა ნებისმიერი მასშტაბის მეჯიბრება სულ ცოტა 9 ეკიპაჟის მონაწილეობით, მაღ მორის 3-III ● ან 5 - მიბარდა I ●.	1-2	1	1	-	"
მიბარდა I ეტაპი					
ნებისმიერი მასშტაბის მეჯიბრება სულ ცოტა 8 ეკიპაჟის მონაწილეობით, მაღ მორის 3 - მიბარდა I ●. ან 5 - მიბარდა II ●.	1-2	1	1	-	250, 3000
მიბარდა II ეტაპი					
მიბარდა ნებისმიერი მასშტაბის მეჯიბრება სულ მეტეს 8 ეკიპაჟის მონაწილეობით, მაღ მორის 2 - მიბარდა III ●.	1	1	1	-	"
მიბარდა III ეტაპი					
მიბარდა ნებისმიერი მასშტაბის მეჯიბრება სულ მეტეს 6 ეკიპაჟის მონაწილეობით	1	1	1	-	250, 3000
მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატები და თასები, რომელიც ეკუთვნის მეოთხე ჯგუფის მეჯიბრებებს:					
II ჯგუფისას	6-7	4-5	3-4	1-2	"
III "	4-5	3-4	2-3	1-2	"
IV "	3-4	2-3	1-2	1	"
V "	2-3	1-2	1	-	"
მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, „ზრიმიდი „ზეგრეკების“ ცენტრალური საბჭოს და ეწეულების ცენტრალური საბჭოების პროფკავშირთა სპორტსამოყვარეთა საკავშირო პირველობა:					
17-18 წელი	1-4	1-2	1	1	"
15-16 წელი	1-3	1-2	1	+	"
ასსრ, სამხარეო, საოლქო (15-16; 17-18წელი)და მაღ მესამამის სპორტსამოყვარეობა და ეწეულა პირველობები, რომელიც ატარებს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსახკომი, მოსკოვის, ლენინგრადის სპორტკომიტეტები, სპორტსამოყვარეობისა და ეწეულების (მაღ მორის 15-16; 17-18 წელი) რესპუბლიკური საბჭოები	1-2	1-2	-	-	500, 1000, 5000 10000

შენიშვნა: სპორტის ოსტატის წოდების მისანიჭებლად აუცილებელია:

ა) სათანრიგო მოთხოვნა თითოჯერ შეასრულოს სსრ კავშირის პირველობაზე, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, სსრ კავშირის თასზე, ი. რიაბჩინსკაიას საერთაშორისო მემორიალურ შეჯიბრებაზე, იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე, სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრებაზე — „მეგობრობა“.

ბ) შეასრულოს სათანრიგო მოთხოვნა 2 სხვა შეჯიბრებაზე ერთ სეზონში.

გ) საერთაშორისო შეჯიბრებაში დაიკავოს იუნიორთა მსოფლიო პირველობა, სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობა“ ერთადგილიან ნავებს შორის დაიკავოს სულ მცირე VI ადგილი; ი. რიაბჩინსკაიას ხსოვნის, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში, სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობაში“ სულ მცირე V ადგილი ორადგილიან, ხოლო ოთხადგილიან ნავებს შორის III ადგილი და კიდევ ერთი ნებისმიერი ჯგუფის შეჯიბრებაზე შეასრულოს სათანრიგო მოთხოვნა.

2. სპორტის ოსტატობის კანდიდატის I, II, III, მოზარდთა I, II, III თანრიგების მისანიჭებლად აუცილებლად უნდა დაიკავოს სათანრიგო მოთხოვნების შესატყვისი ადგილი და შეასრულოს სათანრიგო ნორმა.

სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების პირობები

1. სპორტის ოსტატის წოდება და სპორტის ოსტატობის კანდიდატის თანრიგი ენიჭებათ:

ა) სპორტის ოსტატი — შეჯიბრებაში მონაწილეობდეს სულ ცოტა 12 ეკიპაჟი (გუნდურ რბოლაში — 8), მათ შორის 4 სპორტის ოსტატი (მოზარდთა ასპარეზობაში — V ჯგუფი — ეკიპაჟთა (ნაკრების) იგივე რაოდენობა სულ მცირე 8 სპორტის ოსტატობის კანდიდატი).

ბ) სპორტის ოსტატობის კანდიდატი — მონაწილეობდეს სულ ცოტა 12 ეკიპაჟი (გუნდურში — 8), მათ შორის 3 სპორტის ოსტატობის კანდიდატი ან 5 პირველთანრიგოსანი.

ეკიპაჟის თანრიგი განისაზღვრება ეკიპაჟის წევრთა ნახევარი უმაღლესი თანრიგით.

შენიშვნა: საკლასიფიკაციო (თანრიგის მისანიჭებლად) მანძილზე წყლის დინება არ უნდა აღემატებოდეს 0,05 წუთს წამში.

250, 500, 1000 მ. მანძილებზე სათანრიგო ნორმა შესრულებულად ითვლება, თუ ზურგქარის (ფინიშისაკენ) სისწრაფე არ აღემატება 2 მ. წამში. შეჯიბრება ასაკობრივ ჯგუფებში ტარდება შემდეგ მანძილზე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 75, 76, 77, 78, 79, 80.

სავალდებულო ნორმები, წამ.

ნავების კლასი	მანძილი	ზოგადა და მანრიგი							
		სპ/ოსტ.	სპ. ოსტ. კანდ.	I	II	III	მოზარდების		
							I	II	III
ვაუები და ჭაბუკები									
ბაიდარკა									
K-I	250	-	-	-	I.0I	I.05	I.II	I.I8	I.26
K-I	500	I.49	I.55	2.02	2.I2	2.25	-	-	-
K-I	I000	3.46	3.58	4.I2	4.32	4.55	-	-	-
K-I	3000	-	-	-	I5.00	I5.30	I6.30	I7.30	I8.30
K-I	5000	-	22.30	23.30	24.30	25.30	-	-	-
K-I	I0000	44.30	46.I0	48.00	50.00	5I.30	-	-	-
K-2	250	-	-	-	0.54	0.58	I.05	I.I2	I.20
K-2	500	I.37	I.42	I.47	I.55	2.02	-	-	-
K-2	I000	3.27	3.38	3.44	3.56	4.I2	-	-	-
K-2	3000	-	-	-	I3.20	I4.00	I4.45	I5.30	I6.I5
K-2	5000	-	20.50	2I.40	22.40	24.00	-	-	-
K-2	I0000	39.40	4I.30	44.00	45.30	48.20	-	-	-
K-4	250	-	-	-	0.50	0.54	I.0I	I.08	I.I6
K-4	500	I.29	I.35	I.40	I.50	I.55	-	-	-
K-4	I000	3.04	3.I5	3.28	3.50	4.00	-	-	-
K-4	3000	-	-	-	II.35	I2.35	I3.00	I3.45	I4.30
K-4	I0000	35.30	36.30	37.50	39.30	40.30	-	-	-
კანოე									
C-I	250	-	-	-	I.06	I.I0	I.I6	I.23	I.3I
C-I	500	2.0I	2.06	2.I4	2.20	2.30	-	-	-
C-I	I000	4.06	4.I8	4.34	4.48	5.I0	-	-	-
C-I	3000	-	-	-	I6.00	I6.30	I7.00	I8.00	I9.00
C-I	5000	-	25.00	26.00	27.00	28.00	-	-	-
C-I	I0000	48.20	50.20	52.20	54.30	56.40	-	-	-
C-2	250	-	-	-	I.00	I.04	I.II	I.I8	I.26
C-2	500	I.50	I.57	2.02	2.I0	2.I6	-	-	-
C-2	I000	3.48	4.02	4.I0	4.28	4.38	-	-	-
C-2	3000	-	-	-	I5.00	I5.40	I6.I0	I7.00	I7.50
C-2	5000	-	23.30	25.00	26.00	27.20	-	-	-
C-2	I0000	45.00	47.20	50.30	52.30	55.00	-	-	-
C-4	250	-	-	-	0.56	I.00	I.07	I.I4	I.22
C-4	500	I.40	I.44	I.48	I.54	2.00	-	-	-
C-4	I000	3.25	3.36	3.44	3.56	4.I2	-	-	-
ქალები და გოგოები									
ბაიდარკა									
K-I	250	-	-	-	I.07	I.II	I.I7	I.24	I.32
K-I	500	2.0I	2.06	2.I5	2.22	2.30	-	-	-
K-I	3000	-	-	-	I6.I0	I6.40	I7.I0	I8.I0	I9.I0
K-I	5000	24.00	25.00	26.00	27.00	28.00	-	-	-
K-2	250	-	-	-	I.0I	I.05	I.I2	I.I9	I.27
K-2	500	I.50	I.57	2.02	2.I0	2.20	-	-	-
K-2	3000	-	-	-	I5.I0	I5.50	I6.20	I7.I0	I7.50
K-4	250	-	-	-	0.57	I.0I	I.08	I.I5	I.23
K-4	500	I.40	I.46	I.50	I.56	-	-	-	-

მეჯიბრების მონაწილის ასაკი და სქესი	მანძილი, მ						
	250	500	1000	3000	5000	10000	ესტაფ.
11-12 წლის (საბავშვო)	+	-	-	+	-	-	+
13-14 წლის (მოზარდა)	+	+	+	+	+	-	+
15-16 წლის (უმცრ. მოზ.)	+	+	+	+	+	-	+
17-18 წლის (იუნიორები)	-	+	+	-	+	+	+
ბიჭები	-	+	-	-	+	-	+
10-20 წლის (ახალგაზრდული) მიბ	-	+	+	-	-	+	+
ბიჭები	-	+	-	-	+	-	+
21 წლისა და უფროსი (მოზრდილ.)							
ვაჟები	-	+	+	-	-	+	+
ქალები	-	+	-	-	+	-	+

ესტაფეტა 4X250 მ. ტარდება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში: 11-12 წელი, 13-14, 15-16; 4X500 მ. — 17-18, 19-20, 21 და ზევით.

საკლასიფიკაციო ესტაფეტებში სპორტსმენი უნდა გამოდიოდეს ერთი და იგივე კლასის ნავით სულ ცოტა 4 ეტაპზე. ესტაფეტაში თანრიგი ენიჭება მარტო მოპოვებული ადგილის თანახმად.

მოზარდთა III თ. ენიჭება 11 წლიდან.

ახალგაზრდული ჯგუფის სპორტსმენებს (19-20 წელი) და იუნიორებს (17-18 წელი), რომელთაც გაიმარჯვეს თავიანთ ქვეჯგუფებში, შეუძლიათ გამოვიდნენ მოზრდილთა შეჯიბრებებში (მათ შორის საკავშიროსა და საერთაშორისოში); რაც უნდა გაითვალისწინონ შეჯიბრების დებულებაში, მათთვის სათანადო თანრიგისა და წოდების მიკუთვნება უნდა მოხდეს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის სპორტკომიტეტების რეკომენდაციითა და საკავშირო სპორტსახკომში მათი შედეგების წარდგენით.



მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ

დღეს კიევში

დღეს კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე შედგება ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდებს შორის. სანამ ვიტყოდეთ ამ მატჩის მნიშვნელობაზე, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ რა შეხვედრები ჩატარდა დღემდე ევროპის ზონის III შესარჩევ ჯგუფში და როგორია გუნდების მდგომარეობა გათამაშების ცხრილში.

ისლანდია — სსრ კავშირი 1:1
თურქეთი — ისლანდია 1:1
სსრ კავშირი — ავსტრია 2:0
გდრ — ისლანდია 2:0
ავსტრია — თურქეთი 3:2
თურქეთი — გდრ 3:1
გდრ — თურქეთი 0:2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
თურქეთი	4	2	1	1	8-5	5
სსრ კავშირი	2	1	1	0	3-1	3
ავსტრია	2	1	0	1	3-4	2
გდრ	3	1	0	2	3-5	2
ისლანდია	3	0	2	1	2-4	2

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ზონებად და შესარჩევ ჯგუფებად გაანაწილა, ევროპის ზონის III შესარჩევი ჯგუფის პროგნოზი, ასე თუ ისე, გარკვეული იყო: აშკარა ფავორიტები გახდნენ სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდები, მათი წარმატება სპეციალისტებს არ აეჭვებდათ, თუმცა, ფავორიტთა პოტენციურ მეტოქეებად მიაჩნდათ თურქეთისა და ავსტრიის გუნდები.

მაგრამ პროგნოზები რომ სათუო ამბავია, ამჯერადაც დამტკიცდა, სსრ კავშირის ნაკრებს შესარჩევ ჯგუფში კი, აქვს კარგი მდგომარეობა, მაგრამ გდრ-ის გუნდი აუტსაიდერთა შორის იმყოფება და თუ მან საგანგებო ზომებს არ მიმართა, ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას ვერ მოიპოვებს.

გდრ-ის გუნდმა ყველასათვის მოულოდნელად სუსტად ჩაატარა შესარჩევი ციკლის სამი შეხვედრა, რომელთაგან მხოლოდ ერთი მოიგო შინ და ორივე მატჩში დამარცხდა თურქებთან — შინაც და სტუმრადაც.

ასეთ წარუმატებლობებს საერთაშორისო ფეხბურთის პრაქტიკაში, როგორც წესი, მკაცრი სანქციები მოსდევს ხოლმე, უამისოდ ვერც გდრ-ის ნაკრები გადარჩა. ნაკრების მწვრთნელი ბერნდტ შტანგე გადააყენეს პოსტიდან და მის ნაცვლად უფროს მწვრთნელად დანიშნეს მანფრედ ცაპფი, რომელსაც ევალებოდა გუნდის ავტორიტეტის აღდგენა, თუმცა, ჯერჯერობით მან ეს ვერ შეძლო.

ახალმა მწვრთნელმა ნაკრების ბირთვად დრეზდენის „დინამო“ მიიჩნია, რომელიც გდრ-ის ჩემპიონატის ლიდერია და ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაშიც ძლიერად ითამაშა. მ. ცაპფმა ნაკრები დააკომპლექტა გამოცდილი ფეხბურთელებისა და ახალგაზრდების სინთეზზე დაყრდნობით. მწვრთნელს დიდი იმედი აქვს 23 წლის ანდრეას თომასისა, რომელიც ცენტრალურ მცველ ლინდნერთან ერთად გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. ახალგაზრდებიდან მწვრთნელი იმედებს ამყარებს ტ. გიუზოვზე, მ. ხალატზე, ხ. შოლცზე, მ. ვუკელზე და სხვებზე. მ. ცაპფმა განაცხადა, რომ გამოცდილმა ფეხბურთელმა რაინერ ერნსტმა ვერაფერით ვერ აღიდგინა საბჭოთა ფორმა, ამიტომაც, ალბათ, შეიძლება საჭირო შეიქნეს მისი შეცვლა.

გდრ-ის გუნდის მეოთხე შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებაზე მინიმუმამდეა დასული. ყველა მეოთხე

გამარჯვება მოსკოვში

შაბათს გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები. თბილისის „ელშავალი“ მოსკოვში ეთამაშა „ლოკომოტივს“-და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა — 12:6. ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ავიატორი“ (კიევი) — ეტს (კრასნოიარსკი) 0:10, „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) — სსა (მონინო) 7:23, „ზვეზდა“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 29:13, ასკ (ალმა-ათა) — „სლავა“ (მოსკოვი) 15:16.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 აპრილისათვის

	თ.	შ.	ხ.	მ.	ფ.	წ.-ქ.
სსა	2	0	2	2	0	04
„აია“ (ქ.)	2	2	0	2	0	04
ეტს	3	0	3	2	0	14
„სლავა“	4	0	4	2	0	24
„ლოკომოტივი“	4	1	3	2	0	24
„ავიატორი“	4	4	0	2	0	24
„ელექტრომაში“	4	4	0	2	0	24
ასკ	4	4	0	2	0	24
„ფილი“	3	1	2	1	1	13
„ზვეზდა“	4	4	0	1	2	23
„ელმავალი“	2	0	2	1	0	12
„სპარტაკი“	4	0	4	0	0	40

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი ჰოკეიში

ოცდაექვსგზის ჩემპიონი

სტოკჰოლმი. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მთავარი ყურადღება ახლა იმ გუნდებისადმი მიპყრობილი, რომლებიც მედლებისათვის ბრძოლას გააგრძელებენ. ამ კოლექტივებმა წინასწარი ტურნირის ბოლო შეხვედრები 24 აპრილს ჩაატარეს.

ტურის ცენტრალური მატჩი გახლდათ საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ჰოკეისტთა ორთაბრძოლა, რომელსაც უნდა გამოვლინა ევროპის ჩემპიონი. საბჭოთა სპორტსმენებს ფრეც ხელს აძლევდა იმ დროს, როცა ტურნირის მასპინძლებს უსათუოდ უნდა გაემარჯვათ. დაძაბული მატჩი საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიგეს ანგარიშით 3:2 (0:0, 2:2, 1:0) და 26-ედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ტიტული.

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა, რომელშიც კანადელებმა გაიმარჯვეს — 4:2 (1:0, 1:1, 2:1).

გუშინ, გვიან ღამე ჩატარდა კიდევ ორი მატჩი: აშშ-პოლონეთი და გფრ-ფინეთი. გთავაზობთ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ცხრილებს.

ევროპის ჩემპიონატი

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

სსრ კავშირი	5	5	0	0	28-7 10
ჩეხოსლოვაკია	5	2	2	1	28-13 6
შვეიცია	5	2	2	1	19-13 6
ფინეთი	4	1	0	3	12-15 2
გფრ	4	0	2	2	10-16 2
პოლონეთი	5	1	0	4	9-42 2

მსოფლიო ჩემპიონატი

მდგომარეობა 25 აპრილისათვის

სსრ კავშირი	7	7	0	0	36-12	14
შვეიცია	7	4	2	1	29-20	10
კანადა	7	5	0	2	45-18	10
ჩეხოსლოვაკია	7	3	2	2	33-15	8
ფინეთი	6	1	1	4	19-24	3
აშშ	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	14-[illegible]	[illegible]
პოლონეთი	6	1	0	5	9-53	2
გფრ	6	0	2	4	16-31	2

გამოიკვეთა ნაკრების კონკურენტები

თბილისში სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშის დარბაზში გაიმართა გიორგი ეგნატაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული, რიგით მეოთხე შეჯიბრება. ეს ასპარეზობა, ისევე როგორც ადრე, ფაქტიურად მიზნად ისახავდა ჩვენი რეზერვის დათვალიერებას, რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრებისათვის კანდიდატთა შერჩევას — იმ სპორტსმენთა გამოვლენას, რომლებსაც მოუხდებათ საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე.

რა მოგვცა განვლილმა ასპარეზობამ, კმაყოფილნი უნდა ვიყოთ თუ არა ჩვენი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებით, ძალუძთ თუ არა მათ იტვირთონ ის დიდი მისია, რასაც ქართული ტანვარჯიშის ტრადიციების დაცვა-განმტკიცება ჰქვია?

ასეთი კითხვებით მივმართეთ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელებს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ რუსუდან სიხარულიძეს (ქალთა ნაკრები) და რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ჰანს ბურჯანაძეს (ვაჟთა ნაკრები).

აი, რა გვითხრეს მათ...



სტელა დავიდოვა

რუსუდან სიხარულიძე:

— სამწუხაროდ, სტარტზე ვერ გამოვიდა ჩვენი ნაკრების სამი წამყვანი წევრი — თბილისელი ლია ზობამ, კმაყოფილნი უნდა ვიყოთ თუ არა ჩვენი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებით, ძალუძთ თუ არა მათ იტვირთონ ის დიდი მისია, რასაც ქართული ტანვარჯიშის ტრადიციების დაცვა-განმტკიცება ჰქვია?

ასეთი კითხვებით მივმართეთ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელებს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ რუსუდან სიხარულიძეს (ქალთა ნაკრები) და რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ჰანს ბურჯანაძეს (ვაჟთა ნაკრები).

აი, რა გვითხრეს მათ...